ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №5443501

ნომერი: AR1827088

თარიღი : 25.05.2021

გაცემის თარიღი : 09.06.2021

გაცნობის თარიღი : 09.06.2021

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გ. ლეონიძის ქ. N11ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლალი ავაქიშვილი პ/ნ 36001003531
- საგარეჯო ს. მანავი

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- III კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- კულტურის და დასვენების ობიექტები
  - კინო-თეატრი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1663.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15

მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

# გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული 2021 წლის 25 მაისის AR1827088 განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, გ. ლეონიძის ქ. N1ა-ში არსებული შენობის რეკონსტრუქციის (დაშენება) მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის საკითხს.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:
1.არსებული სიტუაციის ფოტოსურათები -> ....ფოტოსურათების pdf ფაილი : წარმოდგენილი იქნეს:
- დათარიღებული არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოები;
- არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოები სხვადასხვა ხედებიდან, ასევე შორი ხედიდან ტერიტორიის ჩვენებით;
2. ტოპოგეგმის მიხედვით მიწის ნაკვეთზე ფიქსირდება 6 ხე-ნარგავი, ხარისხობრივი შეფასების საექსპერტო დასკვნაში აღნიშნულია - 5 ხე; დაზუსტდეს აღნიშნული და მოვიდეს ერთმენათთან შესაბამისობაში;
3. არ არის წარმოდგენილი ესკიზური პროექტი, მასალის, ზომების, ნიშნულების, ფერის კოდის მითითებით; დამატებით წარმოდგენილ იქნას საპროექტო და მომიჯნავე შენობა-ნაგებობის ფასადების ესკიზური განშლები (მომიჯნავე შენობების ფასადები შესაძლებელია დატანილ იქნას მხოლოდ კონტურების სახით) , რომელზეც დატანილი იქნება აბსოლიტური ნიშნულები როგორც ყველაზე დაბალ, ასევე ყველაზე მაღალ წერტილებში;
4. არ არის წარმოდგენილი ისტორიულ-არქიტექტურული, ანალიტკური ინფორმაცია (სახელოვნებათმცოდნეო კვლევა);
6. დამატებით წარმოდგენილი იქნეს შენობის განთავსების სქემა (იხ. დანართი);
7. ფუნქციური დანიშნულების გრაფაში მითითებული იქნეს მიშენება ხდება თუ დაშენება.

გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.

იმ შემთხვევაში თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება და მოთხოვნილი დოკუმენტაციის სრულყოფილი სახით წარმოდგენა, აღნიშნული განაცხადი დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.